პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

6 სექტემბერი, სამშაბათი, 1988 წ. № 172 (9839) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ვიქტორ გოგლიძის მემორიალი

ამ დღეებში კვლავ ახმიანდება თბილისის ჭადრაკის სასახლე — 7 სექტემბერს საზეიმოდ გაიხსნება პირველი ქართველი ოსტატი მოჭადრაკის ვიქტორ გოგლიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ვაჟთა VIII საერთაშორისო ტურნირი. მემორიალში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს ცნობილმა დიდოსტატებმა და საერთაშორისო ოსტატებმა, მსოფლიოს ექსჩემპიონმა მიხეილ ტალმა, ოლეგ რომანიშინმა, ედუარდ გუფელდმა, გენადი ზაიჩიკმა, იგორ ნოვიკოვმა (ყველა — სსრ კავშირი), ალექსანდრე შნაპიკმა (პოლონეთი), ვალენტინ ლუკოვმა (ბულგარეთი), ზდენკო კოჟულმა (იუგოსლავია), ჯიმი კონკუესტმა (ინგლისი) და სხვ.

შეჯიბრება 7 სექტემბერს 19 საათზე გაიხსნება. I ტური 8 სექტემბერს გაიმართება.

პრობლემების პირისპირ

## ვუთხრათ სიმართლე მოსახლეობას

### ეს შეხვედრა შედგება „ლელოს" წარმომადგენელთა მონაწილეობით

ამას წინათ, კერძოდ, 24 აგვისტოს, ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდა თბილისის ვაშლიჯვარის დასახლების XI კორპუსის მცხოვრებთა კოლექტიური წერილი. მასში ლაპარაკი იყო იმის შესახებ, რომ დასახელებულ კორპუსთან ახლოს არის თავისუფალი ადგილი, სადაც შეიძლება სპორტული კომპლექსი მოეწყოს. ეს მით უფრო საყურადღებოა, რომ რთული რელიეფის გამო ამ დასახლებაში ბევრგან არ ხერხდება სპორტული მოედნის გაშენება. მოსახლეობა ეჭვს გამოთქვამდა, აპირებენ ის თავისუფალი ადგილი კოოპერატორებს გადასცენ ავტოსადგომის მოსაწყობად. სამწუხაროდ, საბურთალოს რაიონიდან პასუხი დღემდე არ მიგვიღია. იმისათვის, რომ სიცხადე შევიტანოთ სადავო საკითხში, ხვალ, 7 სექტემბერს, 19 საათზე, ვაშლიჯვარის დასახლების XI კორპუსთან დანიშნულია შეხვედრა მოსახლეობასთან. შეხვედრაზე ვიწვევთ სახალხო დეპუტატების საბურთალოს რაიალმასკომის ხელმძღვანელებს, რაიონის არქიტექტორს და იმ კოოპერატორებს, რომლებსაც რაიმე პრეტენზია აქვთ აღნიშნულ ტერიტორიაზე ფართობის გამოყოფასთან დაკავშირებით. იმედი გვაქვს, რაიონის არქიტექტორი მოსახლეობას გააცნობს მიკრორაიონის საბოლოო განაშენიანების გეგმას, აგრეთვე სადავო ტერიტორიაზე სხვისი უფლების დამადასტურებელ დოკუმენტაციებს.

## დაჯილდოება

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა ფიზკულტურასა და სპორტში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადებიდან 60 წლისთავთან დაკავშირებით სპორტსახკომის საპატიო სიგელით დააჯილდოვა სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, თბილისის სპორტის სასახლის დირექტორი გიორგი გერმანეს ძე შარაშიძე.

## ოქროს მედლები — ქუთაისელ გოგონებს

ამ რამდენიმე წლის წინათ ვეტერანი ბალახის ჰოკეისტის, ქუთაისის „ლოკომოტივის" ყოფილი მოთამაშის ავთანდილ თევდორაძის თაოსნობით რიონისპირა ქალაქში ჩამოყალიბდა ბალახის ჰოკეისტ გოგონათა გუნდი. ახალბედებს მხარში ამოუდგნენ შეფები — აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მუშა-მოსამსახურეები და ამ მეგობრულმა მხარდაჭერამ მალე შედეგიც გამოიღო — ქუთაისელმა გოგონებმა მოიპოვეს რესპუბლიკაში უძლიერესი გუნდის სახელი, გაიმარჯვეს მოზარდთა მეორე რესპუბლიკურ თამაშებში.

ამიტომაც იყო, რომ სწორედ ქუთაისის „ფეიქრის" ბაზაზე დაკომპლექტდა რესპუბლიკის ნაკრები, რომელმაც ჭაბუკთა მეორე საკავშირო თამაშებში იასპარეზა. ეს დებიუტი უიღბლო გამოდგა — ჩვენს ჰოკეისტებს ასაკით უფროს და უფრო გამოცდილ მეტოქეებთან მოუწიათ თამაში (სხვა გუნდები 1970-71 წლებში დაბადებული სპორტსმენებით იყვნენ დაკომპლექტებული, „ფეიქრის" შემადგენლობაში კი 1972-1973 წლებში დაბადებული ჰოკეისტები გამოდიოდნენ), თუმცა ამ ძნელ გამოცდას უკვალოდ არ ჩაუვლია — ჩვენმა გოგონებმა სატურნირო ბრძოლის საკმაო გამოცდილება მიიღეს.



ქუთაისის ბალახის ჰოკეის ქალ თა გუნდი — „ფეიქარი".

ის. მ. 2 მ.

სეულის ოლიმპიადის გახსნამდე დარჩა 11 დღე

● **იმის** გამო, რომ საბჭოთა დელეგაცია, ისევე როგორც სხვა ქვეყნების წარმომადგენლები სეულში ქალაქის სხვადასხვა რაიონში დაბინავდებიან (ოლიმპიურ სოფელში, ოლიმპიური ოჯახის ქალაქში, სასტუმროებსა და ქალაქის გარეუბნებში) ოლიმპიურ სოფელში საბჭოთა დელეგაციის შტაბი შეიქმნება. სამხრეთ კორეის ხელისუფლებასთან შეთანხმებით თამაშების პერიოდში იმუშავებს სსრ კავშირის დროებითი საკონსულო.

● **საბჭოთა** დელეგაციის შემადგენლობაში მოხვდა ყველა მოკავშირე რესპუბლიკის (თურქმენეთისა და ტაჯიკეთის გარდა) და სპორტსაზოგადოებისა და უწყების წარმომადგენელი. მოსკოვი ოლიმპიურ თამაშებში წარმოდგენილი იქნება 108 სპორტსმენით, რუსეთის ფედერაცია — 106-ით. შემდეგ მოდიან: უკრაინა — 90, ბელორუსია — 45, ლენინგრადი — 31, ყაზახეთი — 28, ლიტვა — 27, საქართველო — 16, აზერბაიჯანი — 10, უზბეკეთი — 9, ესტონეთი — 9, სომხეთი — 7, ლატვია — 6, მოლდავეთი — 4, ყირგიზეთი — 2. სპორტული ორგანიზაციების წვლილი ოლიმპიურ დელეგაციაში ასეთია: პროფკავშირული სპორტსაზოგადოება — 171, საბჭოთა არმია — 168, „დინამო" — 148, „შრომითი რეზერვები" — 17 (მძლეოსანთა ნაკრების დაკომპლექტება ჯერ არ დამთავრებულა, ამიტომ მოსალოდნელია უმნიშვნელო ცვლილებები).



სეულის ოლიმპიური სპორტული ბაზები, სადაც ჩატარდება თამაშების მთავარი შეჯიბრებები.

● **სულ** საბჭოთა კავშირის ოლიმპიური დელეგაცია 860-870 კაცისაგან იქნება შედგენილი. მათ შორის 520 სპორტსმენია, 140 მწვრთნელი, 80-მდე მეცნიერ-თანამშრომელი და ექიმი, აგრეთვე სამეურნეო მუშაკები, ტექნიკური სამსახურის წარმომადგენლები და თარჯიმნები.

● **საბჭოთა** სპორტსმენები მონაწილეობას მიიღებენ პროგრამის ყველა სახეობაში ბალახის ჰოკეისტთა (ქალები) ტურნირის გარდა. მძლეოსნობის, ცურვის და აკადემიური ნიჩბოსნობის ზოგიერთ სახეობაში, სადაც ჩვენი შედეგები საერთაშორისო სტანდარტებს მნიშვნელოვნად ჩამორჩება მონაწილენი არ გვეყოლება.

## ჭაბუკთა II საკავშირო სპორტული თამაშები

1988 II ВСЕСОЮЗНЫЕ ЛЕТНИЕ ЮНОШЕСКИЕ СПОРТИВНЫЕ ИГРЫ

### I და II თამაშებში მოპოვებული მედლების შედარებითი მაჩვენებლები

| რესპუბლიკები ქალაქები | ოქრო I თამაშები | ოქრო II თამაშები | ვერცხლი I თამაშები | ვერცხლი II თამაშები | ბრინჯაო I თამაშები | ბრინჯაო II თამაშები | სულ I თამაშები | სულ II თამაშები | ადგილი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| რსფსრ | 91 | 110 | 88 | 105 | 69 | 86 | 248 | 301 | I |
| უკრაინა | 66 | 54 | 62 | 59 | 59 | 59 | 187 | 172 | II |
| ბელორუსია | 30 | 36 | 38 | 26 | 47 | 50 | 115 | 112 | III |
| მოსკოვი | 31 | 20 | 36 | 25 | 35 | 36 | 102 | 81 | IV |
| ყაზახეთი | 16 | 16 | 18 | 14 | 27 | 25 | 61 | 55 | VII |
| საქართველო | 19 | 19 | 20 | 23 | 20 | 19 | 59 | 61 | V |
| ლენინგრადი | 12 | 22 | 21 | 13 | 24 | 23 | 57 | 58 | VI |
| უზბეკეთი | 16 | 14 | 18 | 18 | 12 | 15 | 46 | 47 | VIII |
| სომხეთი | 11 | 9 | 12 | 15 | 9 | 10 | 32 | 34 | X |
| ლიტვა | 12 | 18 | 8 | 7 | 8 | 13 | 28 | 38 | IX |
| მოლდავეთი | 7 | 4 | 5 | 7 | 14 | 14 | 26 | 25 | XI |
| აზერბაიჯანი | 4 | 6 | 1 | 10 | 14 | 7 | 19 | 23 | XII |
| ესტონეთი | 7 | 4 | 4 | 6 | 5 | 2 | 16 | 12 | VIX |
| ლატვია | 5 | 2 | 2 | 8 | 9 | 8 | 16 | 18 | XIII |
| თურქმენეთი | 3 | 1 | 3 | 1 | 3 | 4 | 9 | 6 | XVI |
| ყირგიზეთი | 3 | 1 | 1 | — | 4 | 6 | 8 | 7 | XV |
| ტაჯიკეთი | 1 | 1 | 1 | 2 | 3 | 3 | 5 | 6 | XVII |

**რესპუბლიკის ჭაბუკთა ნაკრებს გუნდებისთვის არც ერთი წევრი არ მიუცია** ქალაქებს ტყიბულს და მარნეულს, აგრეთვე აბაშის, ადიგენის, ამბროლაურის, ასპინძის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ბოლნისის, ვანის, გეგეჭკორის, გორის, გურჯაანის დმანისის, დუშეთის, ზუგდიდის, ქარელის, კასპის ლენტეხის, მარნეულის, მაიაკოვსკის, ონის, თერჯოლის, თეთრიწყაროს, თიანეთის, ცაგერის, წალენჯიხის, წალკის, წითელწყაროს, წულუკიძის, ჩხოროწყუს რაიონებს.

ყოველ სამშაბათს...

## რამ გაგახარათ, რამ დაგწყვიტათ გული?

30 აგვისტო — 5 სექტემბერი

ჭაბუკთა II საკავშირო სპორტული თამაშები ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული, რომ ცნობილი გახდა უძლიერესი ექვსეულის წევრთა ვინაობა. ჩვენი რესპუბლიკის სპორტულმა დელეგაციამ, როგორც ვიუწყებოდით, თამაშებში V ადგილი დაიკავა. ამ ფაქტმა, ცხადია, გაახარა ქართული სპორტის გულშემატკივრები, მაგრამ ისინი ამავე დროს სერიოზულ შეშფოთებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ სპორტის ბევრ სახეობაში არ იგრძნობა წინსვლა, მეტიც, არის სახეობები, სადაც შედეგები გაუარესდა. მოდის გულისტკივილის წერილები იმ რაიონებიდან, საიდანაც ვერც ერთი წარმომადგენელი ვერ მოხვდა თამაშების მონაწილე რესპუბლიკის ნაკრებ გუნდში. ავტორები გვთხოვენ მთელ საქართველოს გავაცნოთ ეს რაიონები, რათა იქნებ თავმოყვარეობამ შეაწუხოს სპორტული ხელმძღვანელები და მეტი პასუხისმგებლობით იმუშაონ. მათი აზრით მკაცრად უნდა მოეკითხოთ პასუხი ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლების მწვრთნელებს, რომლებიც ხელფასს იღებენ, სპორტსმენებს კი არ ზრდიან.

გასულ კვირაში რედაქციაში ხშირად გაისმოდა ტელეფონის ზარი, ულოცავდნენ ოლიმპიელებს, გვეკითხებოდნენ, კიდევ ვის შეიძლება მიეცეს სეულში გამგზავრების შესაძლებლობა. გულშემატკივრები გზას ულოცავენ ჩვენს ოლიმპიელებს და იმედოვნებენ, რომ მათი წარმატებების შესახებ სასიხარულო ცნობებს მივიღებთ ასპარეზობის დღეებში.

გასული კვირის მიღწევებიდან მკითხველი გამოყოფს ველოსპორტში (ტრეკი) თეარ მჭედლიშვილის მეორე საპრიზო ადგილს საკავშირო ჩემპიონატში, [illegible] ტურნირში.

[illegible] ლია, რომ ადგილებზე [illegible] ტარდა [illegible] [illegible] კი [illegible] მდინარეობს. წერილებში გამოთქმულია გულისწყრომა, რომ მასობრივ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებები ადგილებზე ულიმღამოდ, ტრაფარეტულად, მოსაწყენად იმართება, ერთფეროვანია პროგრამა, [illegible] წილად ბავშვები გამოჰყავთ, [illegible] იძულებით.

მკითხველთა საერთო ინტერესი გამოიწვია „ლელოს" 3 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებულმა პუბლიკაციამ: „შევცვალოთ საქმისადმი დამოკიდებულება, ვიხელმძღვანელოთ მხოლოდ ქართული ფეხბურთის საერთო ინტერესებით". ეს იყო გამოძახილი რედაქციის მოწოდებაზე საქართველოს ჩემპიონატი ფეხბურთში აგვეყვანა საზოგადოებრივ კონტროლზე. „ლელოს" დღევანდელი ნომრის მე-4 გვერდზე გთავაზობთ რამდენიმე გამოხმაურებას.

გასული კვირის სპორტული მოვლენების ირგვლივ აზრი გაგვიზიარეს: ნ. ზერიანიძემ, ე. მენაბდემ, ი. გვაზავამ, მ. მელაძემ (ყველა — თბილისი), ა. კაკავამ (გალი), ი. კიკნაძემ (ხაშური), გ. იაძემ (ახალციხე), მ. [illegible]რაცხელიამ (ზუგდიდი), მ. ქვანიამ (ფოთი), ნ. მელაკელიძემ (ქუთაისი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნორჩ მოცურავეთა რესპუბლიკური ჩემპიონატი

# საკითხი კვლავ ღიად რჩება

- წლები გადის, მდგომარეობა არ იცვლება
- 16 წლის წინათ უკეთ ცურავდნენ
- რას აკეთებს 127 მწვრთნელი?
- რატომ, რა მიზნით მიჰყავთ ზედმეტი სპორტსმენები შეჯიბრებაზე?

საზეიმო ატმოსფერო — აი, ის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი, რომლითაც ხობში გამართული ნორჩ მოცურავეთა შეჯიბრება — „ოლიმპიელები ჩვენს შორის არიან" — გამოირჩეოდა.

მასპინძლებმა მართლაც ყველაფერი იღონეს, რათა ასპარეზობა დიდხანს დამახსოვრებოდათ მის მონაწილეებს.

ამ შეჯიბრებას ძალზე შეეფერება სიტყვა „პირველად". ასპარეზობის მონაწილეთა უმეტესობისთვის ეს ხომ პირველი დიდი შეჯიბრება იყო. და კიდევ პირველი ნაბიჯი „ნამდვილ" სპორტში, გამარჯვების სიხარულის და დამარცხების სიმწარის პირველი განცდა. 10-14 წლის ბავშვები სწორედ ამგვარ შეჯიბრებებში იძენენ გამოცდილებას.

ასპარეზობაში 64 საპრიზო ადგილი განაწილდა. **ყველაზე მეტად თავი გამოიჩინა 14 წლის თბილისელმა მოსწავლე ირაკლი საყვარელიძემ (პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება), რომელიც საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ცხრაჯერ ავიდა, აქედან ექვსჯერ — ინდივიდუალურ სახეობებში. ამგვარად, საყვარელიძე ამ შეჯიბრების თავისებურ რეკორდსმენად მოგვევლინა.**

ინდივიდუალურ სახეობებში, საყვარელიძის შემდეგ, ყველაზე მეტი გამარჯვება მოიპოვეს თამუნა კიკნაძემ („დინამო", თბილისი) და ალიონა სტარეცკაიამ (პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება, ქუთაისი), რომლებმაც ოთხ-ოთხი პირველი ადგილი დაიკავეს. სამ-სამი გამარჯვება იზეიმეს დავით კორობკომ („შრომითი რეზერვები", თბილისი), მაია მარგიშვილმა, გურამ დეკანოსიძემ და გია ხმალაძემ (ყველა პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლა, თბილისი).

გუნდურ პირველობაში პირველი ადგილი წილად ხვდა თბილისის პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის I გუნდს (1367 ქულა), მეორე იყო რესპუბლიკის ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის გუნდი (1070), ხოლო მესამე —რუსთავის ნაკრები (1002,5).

მომდევნო ადგილებზე გავიდნენ: თბილისის პროფკავშირთა ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის მეორე გუნდი (2731), ბათუმის (473), სოხუმის (424), ქუთაისისა (404) და ხობის (101) გუნდები.

თბილისის „დინამოსა" და „შრომითი რეზერვების" წარმომადგენლების (რომლებმაც შესაბამისად 918 და 367 ქულა მოაგროვეს) შედეგები ჩათვლაში არ შევიდა, რადგან, შეჯიბრების დებულების თანახმად, გუნდები სრულად ვერ დააკომპლექტეს.

ხობში გამართულმა ასპარეზობამ, უწინარეს ყოვლისა, ბავშვთა სპორტსკოლების ერთწლიანი მუშაობა შეაჯამა. ამ შეჯიბრებას უნდა გამოევლინა ის ნორჩი მოცურავეები, რომლებმაც რესპუბლიკის ნაკრების კარი უნდა შეაღონ და უახლოეს მომავალში მისი ღირსებაც დაიცვან.

დიახ, ხობში გამართულმა შეჯიბრებამ, როგორც სარკეში, დაგვანახა ის პრობლემები, რომლებიც ჩვენ გვაწუხებს და უახლოეს ხანში უნდა აღმოიფხვრას. ხობში ჩვენ ნათლად დავინახეთ მედლის მეორე მხარე.

ახლა კი უშუალოდ ციფრებსა და ფაქტებს მივმართოთ.

**შეჯიბრების პროგრამის ნახევარზე მეტში (60 პროცენტი) შარშანდელი ანალოგიური ასპარეზობის შედეგები ვერ გაუმჯობესდა.** სპორტსმენთა მომზადებაში განსაკუთრებით დიდი სხვაობა იყო 200-მეტრიან დისტანციებზე. ამ დისტანციებზე წლევანდელი საუკეთესო შედეგებიც კი ვერ აჭარბებდა შარშანდელს. ეს იმას ნიშნავს, რომ **რესპუბლიკის ნაკრებს კვლავ არ ეყოლება კარგი რეზერვი** და სპორტსმენებთან მუშაობის დაწყება, როგორც იტყვიან, ცარიელზე მოუწევს.

ზედმეტი არ იქნება იმის შეხსენება, რომ ერთი წლის შემდეგ ძალაში შედის ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლების ახალი დებულება, რომლის მიხედვითაც 1974 წელს დაბადებულ ბავშვთა 50 პროცენტმა, აგვისტოს ბოლოს სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი უნდა შეასრულოს, 13 წლის გოგონებმა — 1 თანრიგის ნორმატივი, 12 წლის ბიჭების 50 პროცენტმა — II თანრიგი. იგივე ნორმატივი აქვთ შესასრულებელი 11 წლის გოგონებს, ხობში გამართულ შეჯიბრებაში კი **1977 წელს დაბადებულმა მხოლოდ ერთმა გოგონამ აჩვენა II თანრიგის ნორმატივი. 12** წლის ბიჭებიდან ორადორმა გადააჭარბა II თანრიგს. ამდენივე 13 წლის გოგონამ შეასრულა I თანრიგის ნორმატივი. **რაც შეეხება 14 წლის ბიჭებს, ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი ვერავინ შეასრულა.** უფრო მეტიც — მათგან I თანრიგის შედეგს სამადსამი სპორტსმენი შესწვდა.

ზემოხსენებულ მოთხოვნებს მხოლოდ ხუთი სპორტსმენი აკმაყოფილებს. ძნელი დასაჯერებელია, რომ ასეთი ტემპით, ერთი წლის შემდეგ, ახალ მოთხოვნებს დავაკმაყოფილებთ. თავად განსაჯეთ, **დღევანდელი ჩვენი მოცურავეების შედეგები მნიშვნელოვნად ჩამორჩება... 16 წლის წინათ ნაჩვენებ თანატოლთა მიღწევებს.** მახსოვს, 14 წლის მოცურავეები 1972 წელს 100 მეტრზე ბრასის სტილით 1.13,5 აჩვენებდნენ, 200 მეტრზე გულაღმა — 2.31,0, 100 მეტრზე ბატერფლაით — 1.04,5. დღევანდელ გამარჯვებულთა შედეგები, შესაბამისად, ასეთია 1.16,9, 2.34,1, 1.08,1. და ეს ხდება 16 წლის შემდეგ, თუმცა, ამ ხნის განმავლობაში წვრთნის მეთოდიკა კარდინალურად შეიცვალა, მნიშვნელოვნად გაიზარდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, შედეგები კი ქვემოთ მიექანება.

ასეთი სავალალო მდგომარეობა, ჩემი აზრით, იმით აიხსნება, რომ ბავშვთა და მოზარდთა **სპორტსკოლებში არა აქვთ ნათელი ორიენტირი და გეგმიური დავალებები.** პრაქტიკულად აქამდე სპორტსკოლების მუშაობა ფასდებოდა მათთან მომეცადინეთა და რესპუბლიკის შეჯიბრებებში მოპოვებული საპრიზო ადგილებისა თუ ზამთრისა და ზაფხულის სპორტულ-გამაჯანსაღებელ ბანაკებში წარგზავნილი ბავშვების რაოდენობით (ფორმა № 5).

ყველა ეს მაჩვენებელი დღეს არ შეიძლება ჩაითვალოს ობიექტურად, რადგან ისინი პირდაპირ ურთიერთკავშირში არაა სკოლების სპორტულ მაჩვენებლებთან. სწორედ ამიტომაა, რომ **რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებშიც კი იძულებულნი ვართ ხუსტად მომზადებული მოცურავეები მივიწვიოთ. არადა, რესპუბლიკაში დღეს მოცურავეთა 127 მწვრთნელი და მათთან მომეცადინე 6000 ბავშვი გვყავს.**



ირაკლი საყვარელიძე.

იმისათვის, რომ კრიზისულ მდგომარეობას თავი დავაღწიოთ, აუცილებელია კარდინალურად შეიცვალოს მოცურავეთა რეზერვის მომზადების მთელი სისტემა. უწინარეს ყოვლისა, **საჭიროა სპორტსკოლებისა და მწვრთნელთა მუშაობის შეფასების კრიტერიუმების შეცვლა.** მათი მუშაობა უნდა შეფასდეს სპორტული შედეგების მიხედვით. მწვრთნელთა მუშაობაში ფართოდ უნდა გამოვიყენოთ ეკონომიკური და სოციალური სტიმულირების საშუალებები...

ერთი სიტყვით, სიტყვიდან საქმეზე უნდა გადავიდეთ.

ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯები უკვე გადაიდგა. რესპუბლიკის მწვრთნელთათვის ლექციებისა და სემინარების გასამართავად არც ერთ შესაძლებლობას ხელიდან არ ვუშვებთ. გამონაკლისი არც ხობში გამართული შეჯიბრების დღეები იყო. იქვე, ასპარეზობის მსვლელობისას, გამოვიკვლიეთ სპორტსმენთა ფუნქციონალური პარამეტრები, რისთვისაც კომპიუტერულ ტექნიკასაც მივმართეთ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ილუზიებს ვიქმნით. გაწეული მუშაობის შედეგად პრაქტიკულად რაიმე მნიშვნელოვანი ნაყოფი ჯერ არ მიგვიღია.

ამიტომ დავუბრუნდეთ იმ პრობლემებს, რაც ჩვენს მუშაობას აფერხებს.

სამწუხაროდ, არსებობს ღრმად ფესვგადგმული აზრი იმის შესახებ, რომ ბავშვთა შეჯიბრება ეს რაღაც მეორეხარისხოვანი ასპარეზობაა. ამიტომ ამბობენ, მისთვის მთელი სერიოზულობით მომზადება აუცილებელი არააო, თითქოს დრო ბევრია და ყველაფრის გამოსწორება მოესწრებაო. აბა სხვა რითი უნდა აიხსნას ის, რომ სპორტსმენთა უმეტესობამ, რომლებიც ხობში გამოდიოდნენ, არ იციან შეჯიბრების ელემენტარული წესები. მათ არ შეუძლიათ თავის წარდგენა, არ შეუძლიათ სტარტის სწორედ აღება და მობრუნება. მათ ცურვის ცუდი ტექნიკა აქვთ და არც ის იციან, შეჯიბრების საზეიმო გახსნისა თუ დახურვის ცერემონიალზე როგორ გამოვიდნენ.

ბავშვებს რაღა მოვთხოვოთ, როცა მათი აღმზრდელებიც სცოდავდნენ. არც მათ იციან შეჯიბრების წესები. ისინი თავს უფლებას აძლევენ ასპარეზობისას მსაჯთა ბაქანზე „ისეირნონ", არბიტრები კი ამ დროს უძლურობის ნიშნად ხელებს შლიან. ან **რითი უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ მწვრთნელებს თავიანთ გუნდებში შეჰყავთ იმაზე მეტი სპორტსმენი, ვიდრე ამას შეჯიბრების დებულება მოითხოვს.**

ასპარეზობის დებულება ამ შეჯიბრებისთვის ყველა გუნდს დიდი ხნით ადრე გაეგზავნა, მაგრამ ხობში მათ ზედმეტი მოცურავეები ჩამოიყვანეს, იმაზე კი აღარ უფიქრიათ, რომ სპორტსმენებს დაბინავება და კვება სჭირდებოდათ.

არ იფიქროთ, რომ ფაქტებს განგებ ვამუქებთ.

შეჯიბრებამ მაინც კარგად ჩაიარა. წამოჭრილი პრობლემები ოპერატიულად წყდებოდა.

და მაინც, გვინდა საქართველოს ცურვის განვითარების საქმეში გარდატეხა დროზე დაიწყოს, მანამდე კი საკითხი კვლავ ღიად რჩება.

**ვალერი ხაი,**
**საქართველოს სპორტსახკომის ცურვის უფროსი მწვრთნელი.**

შეფობის მადლი

## გაიხარეს...

საქართველოს სახალხო განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა ცენტრალური სპორტული სკოლის თანამშრომლები შაბათს, 3 სექტემბერს, გურჯაანის რაიონის სოფელ კარდანახის ობოლთა და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სახლს ეწვივნენ.

სტუმრებმა საბავშვო სახლის აღსაზრდელებს საჩუქრად ჩაუტანეს სპორტული ფორმები და ინვენტარი. საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის ლექტორი მამია ტულუში ბავშვებს ესაუბრა ქართველი ოლიმპიელების შესახებ. სახალხო განათლების სამინისტროს ცენტრალური სპორტული სკოლის მთავარმა მწვრთნელმა სულიკო მეგრელიშვილმა ნორჩებს ჭადრაკის გაკვეთილი ჩაუტარა. სულ მალე შეფების დახმარებით აქ სპორტის რამდენიმე სახეობაში გაიხსნება დაწყებითი სპორტული ჯგუფები, რაც ხელს შეუწყობს ნიჭიერ ბავშვთა გამოვლენას.

დასასრულ საბავშვო სახლის აღსაზრდელებმა სტუმრებს უჩვენეს თავიანთი შემოქმედება.

**ნანა გოგოლაშვილი.**



მოსწავლეებს საჩუქრად გადასცეს მაგიდის ჩოგბურთის კომპლექტი (სურათზე მარცხნივ), ჭადრაკი და სხვა სპორტული ინვენტარი.

## ოქროს მედლები — ქუთაისელ გოგონებს

(დასასრული)

და ლენინაკანში გამართულ საკავშირო პირველობის ზონალურ ტურნირზე საკმაოდ დამაჯერებლად იასპარეზეს — ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვეს.

ფინალური ექვსეულის გადამწყვეტი შეხვედრები ქუთაისის სპორტკომბინატის ბალახის ჰოკეის ხელოვნურსაფარიან მოედანზე ჩატარდა, ტურნირში „ფეიქრის" გარდა მონაწილეობდნენ მოსკოვის, ბარნაულის, კიროვოგრადის, ფერგანისა და ლენინაკანის გუნდები. ასეთ გამოცდილ კოლექტივებთან ბრძოლაში ძნელი იყო ოქროს მედლებზე ფიქრი, მაგრამ ქუთაისელებმა შეუძლებელი შესძლეს და საკავშირო პირველობის ოქროს მედლები მოიპოვეს.

პირველ მატჩში „ფეიქრის" მეტოქე მოსკოვის ბავშვთა და მოზარდთა № 3 სპორტსკოლის გუნდი იყო. ქუთაისელთა გუნდის კაპიტნის მედეა მამარდაშვილის მიერ გატანილმა ორმა ბურთმა გამარჯვება მასპინძლებს მოუტანა — 2:1. განსაკუთრებით დაძაბული გამოდგა შეხვედრა ბარნაულელებთან, რომლებიც, სპეციალისტთა აზრით, გამარჯვების უპირველეს პრეტენდენტებად ითვლებოდნენ. ჩვენმა გოგონებმა ძლიერად ჩაატარეს ეს ორთაბრძოლა და საპატიო გამარჯვება მოიპოვეს — 1:0. ეს ერთადერთი ბურთი ჯულიეტა ცხადაძემ გაიტანა. მესამე ტურში მასპინძლებმა კიროვოგრადის „კოლოსი" დაამარცხეს (1:0) და სათავეში ჩაუდგნენ გათამაშების ცხრილს. მართალია, „ფეიქარმა" მეოთხე ტურში ფრედ (1:1) დაამთავრა შეხვედრა ფერგანის გუნდთან, მაგრამ ბოლო მატჩის წინ ჩვენი გოგონები კვლავ ინარჩუნებდნენ პირველ ადგილზე გასვლის რეალურ შანსს — მათ ფრეც აძლევდათ ხელს. ლენინაკანის „გიუმრისთან" შეხვედრაში ქუთაისელმა გოგონებმა შეძლეს მეტოქეთა იერიშების მოგერიება, თვითონაც არანაკლებ მწვავედ უტევდნენ. მატჩი ფრედ — 0:0 დამთავრდა. საბოლოოდ, ქუთაისელებმა, ისე როგორც ბარნაულელებმა, 8 ქულა მოაგროვეს, მაგრამ პირად შეხვედრაში გამარჯვების წყალობით პირველი ადგილი ქუთაისელ გოგონებს მიეკუთვნათ.

გამარჯვებული გუნდის (მწვრთნელი — ავთანდილ თევდორაძე) ღირსებას იცავდნენ ლალი კავთელაშვილი, მარინა მახარეიშვილი, მედეა მამარდაშვილი, ირმა ბურჯანაძე, ხათუნა მელაძე, მაკა დათიაშვილი, ჯულიეტა ცხადაძე, რიტა მანწკავა, ნონა თევდორაძე, ქეთევან კანკაძე, ფიქრია მამარდაშვილი და ელისო კილაძე.

საუკეთესო ბომბარდირის პრიზი გადაეცა „ფეიქრის" კაპიტანს მედეა მამარდაშვილს, რომელმაც 6 ბურთი გაიტანა.

მალე „ფეიქარი" მონაწილეობას მიიღებს I ლიგაში გადასასვლელ ტურნირში. იმედი გვაქვს, გუნდი წარმატებით იასპარეზებს ამ საპასუხისმგებლო შეჯიბრებაში და თანაქალაქელი ბიჭების მსგავსად პირველ ლიგაში თამაშის უფლებას მოიპოვებენ.

**თამაზ კოლხიდელი,**
**(„ლელოს" საკ. კორ.).**

ქუთაისი.

## ჩემპიონატი რაიონში

ამ შეჯიბრების პროგრამაში, რომელიც დაბა ორჯონიკიძეში ჩატარდა, ძიუდო და ქართული ჭიდაობა იყო. გაგაცნობთ რაიონის ჩემპიონებს. **ძიუდო:** ჯ. ბარბაქაძე (საქასრია), ჯ. გამრეკელაშვილი (კიცხი), ო. კურტანიძე (ღორეშა), ა. ასათიანი (სარგველი), გ. ცისკაძე (ლაშე), ს. ლიპარტია (ბაზალეთი), დ. გელაშვილი (ლაშე), ც. გაგოშიძე (ხიდარი).

**ქართული ჭიდაობა:** ტ. კურტანიძე (ბორითი), გ. შავიძე (ლაშე), ს. კირთაძე (ვახანი), ა. კვინიკაძე (მოლითი), ს. კაკიაშვილი (ნებოძირი), დ. შარვაძე (წიფა), ე. გელაშვილი (ლაშე), ხ. ხახიაშვილი (უბისა), მ. კურტანიძე (ღორეშა).

**გოჩა ხარატიშვილი,**
**„ლელოს" კორესპონდენტი.**

## მოკლედ

**ზუგდიდი.** დამთავრდა ქალაქის პირველობა მინიფეხბურთში წარმოება-დაწესებულებების გუნდებს შორის. ჩემპიონის გამოსავლენად ერთმანეთს შეხვდნენ „საქქალაქმშენმრეწვისა" და № 12 საამშენებლო ტრესტის ფეხბურთელთა კოლექტივები. საბოლოოდ პენალტების სერიებში გაიმარჯვა (8:7) „საქქალაქმშენმრეწვის" გუნდმა.

**„ლელოს" კორ.**

# საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

## უმაღლესი ლიგა

განვლილ შაბათს გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის 22-ე ტურის მატჩები.

**ჩვენი** ყურადღება, რა თქმა უნდა, მიპყრობილი იყო ერევნის სტადიონისკენ, სადაც თბილისის „დინამო" „არარატს" ხვდებოდა. მაგრამ ამავე ტურში ფრიად საყურადღებო იყო დონეცკის „შახტიორის" შეხვედრა დნეპროპეტროვსკში, ალმა-ათის „კაირატისა" — კიევში და მინსკის დინამოელებისა შინ — მოსკოვის „ლოკომოტივთან". რაც შეეხება ბაქოს „ნეფთჩისა" და მოსკოვის „დინამოს" მატჩს, იგი 7 ოქტომბრისთვის გადაიდო.

ზემოჩამოთვლილ მატჩებში დონეცკელებმა და ალმაათელებმა მარცხი იწვნიეს, მინსკის „დინამომ" შინ 2 ქულა აიღო.

**„არარატი" (ერევანი) — „დინამო" (თბილისი) 3:1 (2:0).**

**ერევანი. „რაზდანის" სტადიონი. 3 სექტემბერი.**

**„არარატი": პოდშივალოვი, სუქიასიანი (მარქოსიანი, 65), ვ. ხაჩატრიანი, ა. ხაჩატრიანი, ჰოვანესიანი, ენგიბარიანი, ოვსეფიანი, მელქონიანი, ქოჩარიანი, ალაიანი, ვერანიანი (აივაზიანი, 84).**

**„დინამო": გაბელია, კეტაშვილი, ცხადაძე, ჰედია, არზიანი, რევიშვილი, ხვანაძე, სულაქველიძე (ცვეიბა, 37), ცაავა, ფანცულაია, გოგიჩაიშვილი (გ. ჯიშკარიანი, 58).**

**მსაჯი ა. ხპირინი (მოსკოვი).**

**გააფრთხილეს რევიშვილი, ენგიბარიანი.**

**დუბლიორები — 1:0.**

**ამ** მატჩამდე „არარატს" 18 ქულა ჰქონდა, „დინამოს" — 16. გამარჯვების შემთხვევაში თბილისელები მეტოქეს ქულებით უთანაბრდებოდნენ, მაგრამ მოგებათა საერთო რაოდენობით უსწრებდნენ და მასზე წინ ინაცვლებდნენ. დინამოელები მინდორზე თითქმის იმავე შემადგენლობით გამოვიდნენ, როგორც წინა მატჩებში, როცა მათ ზედიზედ აიღეს ფრიად საჭირო ქულები. „არარატის" მწვრთნელებმა კი გუნდის რიგებში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოახდინეს. ბრძოლამ პირველივე წუთებიდან უკიდურესად დაძაბული ფორმები მიიღო. თბილისელები შებოჭილად თამაშობდნენ, ერევნელები კი თითოეულ ორთაბრძოლას გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და თანდათან ცხადად გამოირკვა, რომ ერევნელები ყოველ ცალკეულ მომენტში უფრო სწრაფად, უფრო გაბედულად, უფრო თავგანწირვით მოქმედებდნენ, სისტემატურად ასწრებდნენ მეტოქეებს და ეს საკმარისი აღმოჩნდა საიმისოდ, რომ ინიციატივა მათ აელოთ ხელში. გავიდა 10-15 წუთი და ნათელი გახდა, რომ სტუმრები მხოლოდ მომგერიებელთა როლში იმყოფებოდნენ, ამიტომაც თამაშის ტემპს ძირითადად ერევნელები განაგებდნენ. მართალია, უშუალო, პირდაპირი სახიფათო მომენტები „დინამოს" კართან იმ პერიოდში ნაკლებად იქმნებოდა, მაგრამ ტერიტორიული და სათამაშო უპირატესობა „არარატს" ჰქონდა, თამაშიც თბილისელთა ნახევარზე მიმდინარეობდა.

პირველი გოლი მე-19 წუთზე გავიდა. ეს ასე მოხდა: ერევნელებმა შუა მინდორზე გაითამაშეს საჯარიმო, ბურთი ა. ხაჩატრიანმა მიიღო, თბილისელთა ნახევარზე გადავიდა და შორიდან, დაახლოებით 30 მეტრის მანძილიდან, მოულოდნელად და ძლიერად დაარტყა. გაბელია წამით შეფერხდა, მერე კი უკვე ვეღარ მიუსწრო შორეულ კუთხეში გაგზავნილ ბურთს — 1:0.

დინამოელები თამაშის გარდატეხისა და აქტიური მოქმედების აუცილებლობის წინაშე აღმოჩნდნენ. მცირე ხანში მათ შეძლეს მდგომარეობის გათანაბრება, ამოქმედდნენ თავდასხმის ხაზის მოთამაშეები, თამაშმა ჯერ შუა მინდორზე და შემდეგ „არარატის" ნახევარზეც გადაინაცვლა, მაგრამ უკვე მაშინ, როცა ტაიმის დამთავრებას ორიოდე წუთი აკლდა, „არარატმა" სწრაფად განახორციელა კონტრიერიში, ბურთი დინამოელთა კარის სიახლოვეს მიიღო უმეთვალყუროდ დარჩენილმა ქოჩარიანმა და ზუსტად გაგზავნა მიზანში — 2:0.

2:0 — ეს უკვე საგრძნობი უპირატესობა იყო, მაგრამ შემდგომში, როცა 52-ე წუთზე მსაჯმა თბილისელთა კარში 11-მეტრიანი დანიშნა და ა. ხაჩატრიანმა ზუსტად გაიტანა ბურთი, მატჩის საბოლოო შედეგი ეჭვს უკვე აღარ იწვევდა. ერევნელებმა, მიაღწიეს რა ესოდენ სოლიდურ წარმატებას, საფუძვლიანად გაამაგრეს ნახევარდაცვისა და დაცვის ხაზები, ისინი უკვე თვითვე ცდილობდნენ დაეცხროთ ტემპი, ფეხბურთელები მეტწილად განივი გადაცემებით მოქმედებდნენ, ცდილობდნენ არ მიეცათ მეტოქისთვის სწრაფი თამაშის განვითარების საშუალება. ასეთ ვითარებაში დინამოელებმა რამდენიმე შეტევა განავითარეს, მაგრამ დანაკარგის მთლიანად ანაზღაურება მათ ძალებს აღემატებოდა, მაქსიმუმი, რაც გუნდმა შეძლო, ეს იყო ცხადაძის მიერ კეტაშვილის გადაცემით ერთადერთი საპასუხო გოლის გატანა.

საბოლოოდ, მატჩმა, რომლის შედეგსაც თბილისის „დინამოსთვის" საუკეთესო პერსპექტივის შექმნა შეეძლო, გამარჯვება „არარატს" მოუტანა. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მასპინძლებმა განსაკუთრებული მონდომებით და თავგანწირვით ითამაშეს პირველ ტაიმში, შეხვედრის ბედიც ძირითადად სწორედ მაშინ გადაწყდა.

ახლა თბილისის „დინამოს" 8 სექტემბერს საკუთარ მინდორზე მეტად ძნელი მატჩი მოელის ჩემპიონატის პოტენციურ ლიდერთან კიევის „დინამოსთან".

## გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი ● მდგომარეობა 6 სექტემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) | 23 | 12 | 10 | 1 | 35-17 | 34 |
| 2. „დინამო" (კიევი) | 20 | 12 | 6 | 2 | 31-11 | 30 |
| 3. „სპარტაკი" (მოსკოვი) | 22 | 10 | 9 | 3 | 30-18 | 29 |
| 4. „ტორპედო" (მოსკოვი) | 21 | 11 | 6 | 4 | 27-18 | 28 |
| 5. „ჟალგირისი" (ვილნიუსი) | 22 | 9 | 7 | 6 | 29-24 | 25 |
| 6. „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 21 | 8 | 7 | 6 | 27-22 | 23 |
| 7. „ზენიტი" (ლენინგრადი) | 22 | 8 | 7 | 7 | 29-28 | 23 |
| 8. „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 22 | 8 | 4 | 10 | 18-25 | 20 |
| 9. „არარატი" (ერევანი) | 21 | 7 | 6 | 8 | 16-21 | 20 |
| 10. „მეტალისტი" (ხარკოვი) | 23 | 6 | 8 | 9 | 22-28 | 20 |
| 11. „შახტიორი" (დონეცკი) | 21 | 6 | 7 | 8 | 21-22 | 19 |
| 12. „დინამო" (მინსკი) | 21 | 5 | 8 | 8 | 20-23 | 18 |
| 13. „დინამო" (თბილისი) | 21 | 7 | 2 | 12 | 23-30 | 16 |
| 14. „დინამო" (მოსკოვი) | 21 | 5 | 6 | 10 | 19-26 | 16 |
| 15. „ნეფთჩი" (ბაქო) | 21 | 4 | 4 | 13 | 19-33 | 12 |
| 16. „კაირატი" (ალმა-ათა) | 22 | 4 | 3 | 15 | 16-36 | 11 |

## სსრ კავშირის თასზე

**გუშინ** ლანჩხუთში შედგა სსრ კავშირის საფეხბურთო თასის საპასუხო მეთექვსმეტედფინალური მატჩი ადგილობრივ „გურიასა" და კიევის „დინამოს" შორის (ამ ეტაპის პირველი შეხვედრა კიეველებმა თავიანთ მინდორზე მოიგეს ანგარიშით 2:0).

მატჩი მოიგეს ლანჩხუთელმა ფეხბურთელებმა 2:1.

## II ლიგა

**გაიმართა** II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მორიგი ტურის შეხვედრები: „დინამო" (მახაჩყალა) — „ქიაფაზი" (კიროვაბადი) 5:2, „თერგი" (გროზნო) — „გოიაზანი" (ყაზახი) 2:2, „ტორპედო" (ვოლჟსკი) — „მეტალურგი" (რუსთავი) 1:1, „ატომმაში" (ვოლგოდონსკი) — „ლოკომოტივი"-ომც (თბილისი) 1:1, „ლოკომოტივი" (მინ. წყლები) — „დილა" (გორი) 2:0, „ხაზარი" (სუმგაითი) — „ტექსტილშჩიკი" (კამიშინი) 4:1, „ბაკინეცი" (ბაქო) — „სოკოლი" (სარატოვი) 0:3, „დინამო" (მახაჩყალა) — „გოიაზანი" (ყაზახი) 1:0, „თერგი" (გროზნო) — „ქიაფაზი" (კიროვაბადი) 0:2, „ტორპედო" (ვოლჟსკი) — „ლოკომოტივი"-ომც (თბილისი) 2:0, „ატომმაში" (ვოლგოდონსკი) — „მეტალურგი" (რუსთავი) 1:1, „შევარდენი"-სპი (თბილისი) — „დილა" (გორი) 0:0, „ლოკომოტივი" (მინ. წყ.) — „ტორპედო" (ქუთაისი) 1:2, „ხაზარი" (სუმგაითი) — „სოკოლი" (სარატოვი) 1:1, „ბაკინეცი" (ბაქო) — „ტექსტილშჩიკი" (კამიშინი) 0:2.

## საქართველოს პირველობა

**გაიმართა** საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის 26-ე ტურის შეხვედრები: „დურუჯი" (ყვარელი) — „არმაზი" (მცხეთა) 1:1, „სულორი" (ვანი) — „დინამო" (გაგრა) 4:1, „სამეგრელო" (ჩხოროწყუ) — „მეშახტე" (ტყიბული) 3:1, „საპოვნელა" (თერჯოლა) — „კოლხეთი" (ხობი) 0:2, „მადნეული" (ბოლნისი) — „სალხინო" (გეგეჭკორი) 3:1, ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „სქური" (წალენჯიხა) 2:1, „მაღაროელი" (ჭიათურა) — „მეტალურგი" (ზესტაფონი) 4:1, „ბახტრიონი" (ახმეტა) — „ქართლი" (გორის რ-ნი) 3:1, „ივერია" (ხაშური) — „მადრევანი" (წყალტუბო) 2:1, „სპარტაკი" (ცხინვალი) — „ამირანი" (ოჩამჩირე) 2:1, „დინამო" (ზუგდიდი) — „ეგრისი" (ცხაკაია) 6:2.

## ფეხბურთის ამბები

**ვალეტა.** უეფა-ს თასის გათამაშება დაიწყო მალტის „შლიემისა" და რუმინეთის „ვიქტორიას" მატჩით. თამაში დამთავრდა რუმინელ ფეხბურთელთა გამარჯვებით — 2:0.

**ვენა.** ვილნიუსის „ჟალგირისის" მეტოქემ უეფა-ს თასის გათამაშებაში ვენის „აუსტრიამ" ავსტრიის ეროვნულ ჩემპიონატში ანგარიშით 3:0 დაამარცხა „რაპიდი". „აუსტრია" ახლა 14 ქულით სატურნირო ცხრილის სათავეშია.

**ბონი.** გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჩემპიონატში დაწინაურდნენ იურდინგენის „ბაიერის" ფეხბურთელები, რომლებსაც 6 ტურის შემდეგ 9 ქულა აქვთ. ლიდერს ქულით ჩამორჩება მიუნხენის „ბაიერნი". აღსანიშნავია, რომ „ბაიერნის" შემადგენლობაში აღარ გამოდის მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე ბელგიელი ჟან-მარი პფაფი, რომელიც ამ კლუბში 6 წლის განმავლობაში გამოდიოდა. ჟ.-მ. პფაფი სამშობლოში დაბრუნდა და იქაურ „ლიერსში" ჩაირიცხა.

### გამოხმაურება წერილზე: „საქართველოს ჩემპიონატი [illegible] საზოგადოებრივ კონტროლ[illegible]"

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გამაჯანსაღებელი ფეხბურთის ჩემპიონატი?

**„ლელოს"** მეშვეობით სისტემატურად ვადევნებთ თვალს საქართველოს პირველობას ფეხბურთში. მისასალმებელია, რომ ქართული ფეხბურთის გაჯანსაღებისთვის ბრძოლაში ჩაება ფართო საზოგადოებრიობა. მეც მინდა გამოვხატო ჩემი დამოკიდებულება. ვფიქრობ, ფეხბურთში რესპუბლიკური პირველობის დებულება რადიკალურად უნდა შეიცვალოს, ამოსავალი კი უნდა იყოს არა გამაჯანსაღებელი, არამედ დიდი ფეხბურთის ინტერესები. დიახ, დღესდღეობით საქართველოს ჩემპიონატი ეს არის ე. წ. გამაჯანსაღებელი ფეხბურთის დონის ჩემპიონატი, თუმცა, სპორტის სხვა სახეობებში შექმნილი გამაჯანსაღებელი ჯგუფები მეტ წარმომადგენლებს აძლევს დიდ სპორტს, ვიდრე რესპუბლიკის 100-ზე მეტი საფეხბურთო კოლექტივი ერთად აღებული.

მე, რა თქმა უნდა, არა ვარ მასობრივ-გამაჯანსაღებელი ფეხბურთის წინააღმდეგი, ჩაატაროს ეს შეჯიბრება საქართველოს პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების რესპუბლიკურმა საბჭომ, მით უმეტეს, მგონი, თქვენი გაზეთი წერდა, რესპუბლიკის პირველობაში მონაწილე საფეხბურთო გუნდების თითქმის 90 პროცენტი პროფკავშირულია.

**ჯიმშერ ჯაჯანიძე,**
**მშენებელი ინჟინერი.**

თბილისი.

## ქულები პერსპექტიული ფეხბურთელებისთვის

**ექსპერიმენტები** ახლა მოდაშია და ამან გამაბედვინა აზრი გამომეთქვა. იქნებ, ერთი-ორი საფეხბურთო სეზონი თავის ჯგუფში გამარჯვებული გუნდი არ გადავიყვანოთ უფრო მაღალი რანგის ჯგუფში. ვიცი, ბევრი იტყვის, მაშ რაღა ინტერესი ექნება რესპუბლიკის ჩემპიონატსო. მიდით, ეს ერთი-ორი სეზონი მწვრთნელთა მუშაობა ძირითადად შევაფასოთ გუნდში დაწინაურებული ახალგაზრდობის რაოდენობით, ხოლო თუ ოსტატთა უმაღლეს ან I ლიგაში ვინმე ჩაირიცხება, გუნდს სტიმულირებისთვის თითოეულ ასეთ ფეხბურთელზე დაერიცხოს ქულათა გარკვეული რაოდენობა. ასეთი გუნდები, მომდევნო სეზონში, როცა ექსპერიმენტი დამთავრდება და ჩემპიონატი ჩვეულებრივ ჩატარდება, შეჯიბრებებში ჩაებმებიან ქულათა დარიცხული მარაგით.

**როსტომ სამუქაშვილი.**

რუსთავი.

## სიტყვიდან საქმეზე გადავიდეთ

**ხშირად** ლაპარაკობენ სპორტსმენთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის მნიშვნელობაზე. სამწუხაროდ, მხოლოდ ლაპარაკობენ. ალბათ ვერავინ დაასახელებს საქართველოს პირველობის მონაწილე ფეხბურთელთა გუნდს, სადაც ამ საქმეს მართლად ექცევა ყურადღება — ტარდება კულტურული ღონისძიებები, შეხვედრები შრომისა და ომის ვეტერანებთან, კულტურისა და ხელოვნების მუშაკებთან, აგრეთვე გულშემატკივრებთან და ა. შ. არადა, ეს აუცილებელია თუნდაც იმიტომ, რომ იკლოს უდისციპლინობამ.

მე თუ მკითხავთ, საქართველოს პირველობის მონაწილე ფეხბურთელთა გუნდებს მარტო კალენდარულ კი არა, ამხანაგურ მატჩებშიც უნდა ხვდებოდნენ ერთმანეთს. მაშინ აღარ იქნება დაძაბულობა ცალკეული რაიონების გუნდების ოფიციალურ შეხვედრებში. საერთოდ, რატომ არ უნდა ტარდებოდეს მეზობელ თუ უფრო შორეულ რაიონებს შორის მეგობრული შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში? დაწყებით კი ფეხბურთით უნდა დავიწყოთ, ეს თამაში ხომ ყველას იზიდავს. დარწმუნებული ვარ, ასეთი ურთიერთობა აღმზრდელობითი მუშაობის გარდა დიდად შეუწყობს ხელს სპორტის შემდგომ განვითარებას.

**ბ. ცინაძე.**

ასპინძა.

## საშუალებები კი არ შეცვლილა

**წავიკითხე** „ლელოს" 3 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებული წერილები, რომლებიც საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატს ეხება. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ რაიონებში კვლავ ძველებურად გრძელდება ყველაფერი — ერთს ამხობენ და მეორეს აკეთებენ, ცდილობენ ნებისმიერი გზით და საშუალებით მიაღწიონ საწადელს. საბუთს ნუ მომთხოვთ, მე საერთო შთაბეჭდილებას, საზოგადოებრივ აზრს მოგახსენებთ. დარღვევები და ხულიგნური გამოხდომები კი სტადიონებზე ისევ გრძელდება. კიდევ კარგი, თბილისელებიც დარწმუნდით როგორი არაობიექტურია მაყურებელი—მხედველობაში მაქვს საქართველოს თასის გათამაშებაში წყალტუბოს „მადრევანისა" და ბოლნისის „მადნეულის" შეხვედრაში ბოლნისელ გულშემატკივართა უხამსობა, უდისციპლინობის ბევრი ფაქტი საერთოდ იჩქმალება მხოლოდ იმიტომ, რომ მსაჯებს არ შეაქვთ დარღვევები მატჩის ოქმში.

**რ. სარჯველაძე.**

გარდაბნის რაიონი.

## სად იკარგებიან ჩემპიონები?

**სხვა** მოძმე რესპუბლიკების ახალგაზრდები საკავშირო შეჯიბრებებში წარმატების შემდეგ ძირითად გუნდებში იმკვიდრებენ ადგილს, ჩვენები კი რატომღაც იკარგებიან. არადა, ჭაბუკთა ფეხბურთში ჩვენ, ალბათ დამეთანხმებით, ყველაზე მეტ წარმატებას ვაღწევთ. მაშ, რა ხდება? ვერაფერს დაგიმტკიცებთ, მაგრამ ხალხში ისეთი ხმაა გავრცელებული, თითქოს მწვრთნელები ყველაფერს აკეთებენ, ოღონდ სახელი მოიხვეჭონ. გამარჯვებული გუნდების წევრებს, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საქართველოს პირველობის მონაწილე გუნდებშიც კი იშვიათად ვხვდებით. სამაგიეროდ, იქ სპორტისთვის გადაბერებული ფეხბურთელები თამაშობენ. საერთოდ უნდა მივაღწიოთ, რომ ჩვენს გუნდებში მხოლოდ 20 წლამდე ახალგაზრდები თამაშობდნენ, უფროსებმა კი შრომითი კოლექტივების შეჯიბრებებში იასპარეზონ.

**ვ. ფუფია.**

ზუგდიდი.

## მსაჯს — 5 მანეთი?

**ძვირფასო რედაქცია,** თქვენს გაზეთში წავიკითხე, რომ საქართველოს პირველობის მატჩებში თურმე მსაჯს უხდიან... 5 მანეთს. თუ ეს მართალია და ეჭვი არ მეპარება, რომ ასეა, მაშინ ჩემი სიმპათიები მსაჯებისკენ იხრება, სიმართლე გითხრათ, ასეთი ანაზღაურება სპეციალისტის ღირსების შელახვა უფროა, ვიდრე მატერიალური სტიმულირება.

მაქვს კონკრეტული წინადადება: შეიქმნას სპეციალური საზოგადოებრივი ფონდი, ანდა იმ თანხიდან, რომელსაც საქართველოს პირველობის მონაწილე გუნდები ფეხბურთის სამმართველოს უხდიან, მეტი გასამრჯელო გამოიყოს მსაჯებისათვის, ხოლო თუ ეს საჭირო გახდება, სათანადოდ გაიზარდოს კიდეც გუნდის გადასახადი. ერთი სიტყვით, რაღაც გზა უნდა გამოინახოს, მართლაც სირცხვილია მსაჯს 5 მანეთს უხდიდეთ.

**ვ. ტარუაშვილი.**

გორი.

# ფლორენსიო კამპომანესის პრესკონფერენცია

**2 სექტემბერს** გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ რედაქციის ოლიმპიურ დარბაზში ფიდე-ს პრეზიდენტმა ფლორენსიო კამპომანესმა გამართა პრესკონფერენცია. ჩვენს ქვეყანაში პრეზიდენტის ვიზიტის მთავარი მიზანია სოხუმის საერთაშორისო საჭადრაკო სემინარის გახსნა და თელავში ქალთა შორის მსოფლიო პირველობის მატჩის გახსნაზე დასწრება.

ჟურნალისტთა შეკითხვების პასუხად ფ. კამპომანესმა ისაუბრა საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის ნაყოფიერ მოღვაწეობაზე. ბოლო ხუთი წლის მანძილზე ფიდე-ს წევრ სახელმწიფოთა რაოდენობამ 127 კაცს მიაღწია, გახშირდა მსხვილი საერთაშორისო ტურნირები, მოწესრიგდა შეჯიბრებათა სისტემა, მათ შორის, მსოფლიო პირველობების გათამაშებისა, გაცილებით გაიზარდა დახმარება განვითარებადი ქვეყნებისადმი. ამავე დროს, პრეზიდენტმა აღნიშნა საბჭოთა საჭადრაკო სკოლის როლი ამ უძველესი თამაშის პოპულარიზაციის საქმეში. კერძოდ, იგი დაეყრდნო სულ ახალ მაგალითს: სოხუმის მომავალ სემინარზე ოცამდე ქვეყნის წარმომადგენლები შეიკრიბებიან. უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე ეს უკვე მესამე მსგავსი სემინარია სსრ კავშირში რომ ტარდება და ის სარგებლობა, რაც ამ შეკრებებს მოაქვთ, ყველასათვის ნათელია.

შემდეგ პრეზიდენტი მოკლედ შეეხო ფიდე-ს გენერალური ასამბლეის მომავალი მუშაობის საკითხს. ასამბლეა ნოემბერში, საჭადრაკო ოლიმპიადის დროს, საბერძნეთის ქალაქ სალონიკში მოეწყობა.

ფ. კამპომანესს ასეთი შეკითხვა დაუსვეს: მართალია თუ არა ბი-ბი-სის ცნობა, თითქოს თქვენ სასამართლოს გადაეცით გ. კასპაროვის საქმე მსოფლიო ჩემპიონის მიერ თქვენდამი მიყენებული შეურაცხყოფის გამოო.

— ეს არასწორი ინფორმაციაა, — **უპასუხა პრეზიდენტმა.** — საქმის არსი ასეთია: მე გარი კასპაროვს მოვთხოვე ბოდიში მოეხადა ჩემსა და ფიდე-ს მიმართ წაყენებულ გაუთავებელ ბრალდებათა გამო, რაც სსრ კავშირის ბოლო ჩემპიონატის დროს უწყებოდა ვაცნობე საბჭოთა საჭადრაკო ფედერაციას, როგორც ხედავთ, პრავითარ სასამართლოზე არ არის საუბარი. უკანასკნელი ორი-სამი წლის მანძილზე მსოფლიო ჩემპიონს არა ერთი შეურაცხყოფა მიუყენებია ფიდე-სთვის, ამიტომაც გადავდგი ეს ნაბიჯი. თუ იგი ბოდიშს არ მოიხდის, საკითხს დავსვამთ სალონიკში, გენერალურ ასამბლეაზე.



## ოლიმპიური მოზაიკა

● **სამხრეთ** კორეის კალათბურთელ ქალთა ნაკრებს მწვრთნელებმა ლონდონ იაჩმენემა და ევგენი გომელსკიმ ამ დღეებში ოლიმპიური გუნდის შემადგენლობა გამოაცხადეს. სიაში გაერთიანდნენ: ოლესია ბარელი, ოლგა ევკოვა, ოლგა ბურიაკინა (ყველა — ცსკა), ელენა ხუდაშოვა, ირინა მინხი, ალექსანდრა ლეონოვა (ყველა — „დინამო“, ნოვოსიბირსკი), ოლგა იაკოვლევა, ნატალია ზასულსკაია (ორივე — „ელექტროსტალი“, ელინგრადი), ირინა სუმნიკოვა, გალინა სავიცკაია (ორივე — „ჰორიზონტი“, მინსკი), ვიტალია ტუიმოვა („კობრიზმისი“, ვილნიუსი) და ირინა გერლიცი („უნივერსიტეტი“, ალმა-ათა). 7 სექტემბერს გუნდი ჩინეთში გაემგზავრება, 13 სექტემბერს კი სეულში ჩავა.

● **კალათბურთელ** ვაჟთა ნაკრები ამჟამად ესპანეთში იმყოფება და იქ საერთაშორისო ტურნირში თამაშობს. ოლიმპიური ნაკრების შემადგენლობაში მოხვდნენ: ვიქტორ პანკრაშკინი, ვალერი გობოროვი, ალექსანდრ ვოლკოვი, სერგეი ტარაკანოვი, იგორს მიგლინიეკსი (ყველა — ცსკა), არვიდას საბონისი, რიმას კურტინაიტისი, ვალდემარას ხომიჩიუსი (ყველა — „ჟალგირისი“, კაუნასი), შარუნას მარჩიულონისი („სტატიბა“, ვილნიუსი), ვალერი ტიხონენკო (ცსკ, ალმა-ათა), ტიიტ სოკი („კალევი“, ტალინი), და ალექსანდრე ბელოსტენი („სტროიტელი“, კიევი).

● **საგზატკეცილო** ველოსპორტის გუნდურ შეჯიბრებაში ჩვენი ქვეყნის ღირსებას დაიცავენ: სიმფეროპოლელი ვიქტორ კლიმოვი, ხარკოველი ვასილი ჟდანოვი, ვიტებსკელი იგორ სუმნიკოვი და კუიბიშეველი ასიატ საიდოვი. ჯგუფურ რბოლაში კი გამოდიან: ჯანბულელი ვლადიმერ გოლოვანი, ომსკელი ალექსანდრ კირტიანი და დმიტრეველი ჰომოვიაკი ამბოვიკ ჯაროვი. ჩვენი ოლიმპიადის ჩოგბურთელთა მეთაური ფარესი ჯაქსილოვია. ბოლოს მიღწეულ სამოყვარულო წარმოებების მიხედვით. ბაქოელი ხელმძღვანელი ამპოვი ლუბიანოვიჩი სეულში მიფრინავს, ოლიმპიადის ეტაპზე ოლიმპიადაზე გამიზნული ფილმები კლიპები.

● **ბამოცემადმა** მოიფხვნოთ ოლიმპიური გუნდის შემადგენლობა, რომელშიც წონითი კატეგორიების მიხედვით მოხვდნენ: ალექსანდრ მახმუტოვი (ლენინგრადი), ტიმოფეი სკრიაბინი (ვიზნიტვისი), ალექსანდრე არტიომოვი (ლენინგრადი), მიხაკ კოჩლაიძე (ლენინაკანი), კონსტანტინე (ესოვლინოვლიკი), ვიაჩესლავ იანოვსკი (ვიტებსკი), ვლადიმერ ერემენკო (ორენბურგი), ევგენი ზაიცევი (ტოლიატი), რუსლან ტარამოვი (გროზნი), ნურმაგომედ შანავაზოვი, რუსლან სენიევი, ალექსანდრ მიროშნიჩენკო (ყველა — ქისტანი).

# თბილისის „დინამო“ კორაჩის თასზე



**მადრიდი.** გაიმართა ევროპის კალათბურთელთა საკლუბო ტურნირების კენჭისყრა.

**ვაჟები**

**ჩემპიონთა თასი.** ცსკა — „კლოსტერნოიბურგსა“ (ავსტრია) და „ბალკანს“ (ბულგარეთი) შორის გამარჯვებული. პირველი შეხვედრა გაიმართება მეტოქის მოედანზე 3 ნოემბერს, საპასუხო მატჩი მოსკოვში — 10 ნოემბერს.

**თასების მფლობელთა თასი.** „ჟალგირისი“ (კაუნასი) — „ას მონაკო“ (მონაკო). პირველ მატჩს კაუნასელები გამართავენ შინ, 1 ნოემბერს, საპასუხოს — 8 ნოემბერს სტუმრად.

**კორაჩის თასი.** ამ ტურნირში ასპარეზობს ორი საბჭოთა გუნდი. „დინამო“ (თბილისი) — „ოლიმპიაკოსის“ (საბერძნეთი) და „გირისტი“ (პოლონეთი) შორის გამარჯვებული. 2 ნოემბერს დინამოელები თამაშებენ შინ, 9 ნოემბერს — სტუმრად.

„სტროიტელი“ (კიევი) — „ზიუნ კასტორისა“ (ბელგია) და „შარლოტენბურგს“ (გფრ) შორის გამარჯვებული. პირველი შეხვედრა „სტროიტელს“ შინ 2 ნოემბერს ექნება, გასვლით-შეხვედრას 9 ნოემბერს ჩაატარებს.

**ქალები**

**ჩემპიონთა თასი.** „დინამო“ (ნოვოსიბირსკი) — „სამპო“ (ფინეთი). პირველ შეხვედრას დინამოელები შინ ჩაატარებენ (13 ოქტომბერს), საპასუხო შეხვედრა გაიმართება 20 ოქტომბერს.

**ლილიან რონკეტის თასი.** ცსკა — „მენტრ“ (საფრანგეთი) და მტკაას (უნგრეთი) შორის გამარჯვებული. არმიელებს პირველი შეხვედრის ჩატარება შინ მოუწევთ (2 ნოემბერს), მეორისა კი სტუმრად (9 ნოემბერს).



## ლიცენზიები გაიცა

**ამ** შეჯიბრებაში ველოსიპედისტებს ორმაგი სტიმული ჰქონდათ. ჯერ ერთი, თავისთავად საპატიო იყო უძლიერესთა შორის თავის გამოჩენა, მაგრამ მთავარი ის გახლდათ, რომ შეჯიბრის საორგანიზაციო ნაწილის სამომავლო ლიცენზიების გაცემასაც ისახავდა მიზნად. სიათი ლიცენზიებით ველოსპორტის ყველა შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლებას იღებს.

სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, რომ 1972-1973 წლებში დაბადებულ ველოსიპედისტთა საკავშირო პირველობაში (შეჯიბრება ხარკოვში ჩატარდა) ამ ასაკის ყველა უძლიერესი სპორტსმენი მიიღო მონაწილეობა. ასპარეზობაში, ცხადია, საქართველოს გუნდიც გამოვიდა (უფროსი მწვრთნელი სპორტის დამსახურებული ოსტატი რ. ფხაკაძე, მწვრთნელი სპორტის ოსტატი რ. კეპხერიშვილი), რომელთა წევრებმა განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი სპრინტერთა შეჯიბრებაში.

სპრინტს ტრადიციულად წინ უსწრებდა მოკლე მანძილზე გარბენი. პირველ წარმატებას ჩვენმა სპორტსმენებმა სწორედ 200 მეტრიან დისტანციაზე (ვლოო) მიაღწიეს. აქ მეორე ადგილი დაიკავა 32-ე საშუალო სკოლის მოსწავლემ, ჰამლეტ 11 საჯავშირო სპორტის თამაშების პრიზიორმა დევარდ კარაპეტიანმა (თბილისის განათლების სამმართველოს ველოსპორტის სკოლა, ოლიმპიური რეზერვების (ცენტრი „ივერია“). გამარჯვებულს იგი სულ მცირედით ჩამორჩა და 11,7 წამი აჩვენა.

სამგუნდოვან გრენის მეორე სავარაუდოში (500 მ. ადგილიდან) იგი უკვე ულიდერესი იყო — 33,731, ვახსავ აღსანიშნავია, რომ ამ შედეგით მან სპორტის ოსტატის ნორმას გადააჭარბა.

სპრინტერთა შეჯიბრებამ ლიცენზიის მიღების 87 მსურველი მოიყარა თავი, მაგრამ მომავალ შეჯიბრებებში მონაწილეობის საგზური ყველა, რა თქმა უნდა, ვერ მიიღებდა. ლიცენზიის ერქვითმა შემთხვევით ენინც საპატიებრეთი ოლიმპიურ უძლიერესებს შორის მოიპოვებდა ადგილს. ამ დამატებითმა პირობამ ბრძოლა უფრო საინტერესო და დაძაბული გახადა. სპრინტერთა შეჯიბრება ისევ თბილისელმა ელიადონ კარაპეტიანმა მოიგო. ამ ნიჭიერ სპორტსმენს სპეციალისტებმა მიაქციეს ყურადღება და შეიყვანეს ოუნიორთა საკავშირო ნაკრებში, რომელიც გასულ მსოფლიო ჩემპიონატში იასპარეზებს.

ერთ-ერთი პირველი ლიცენზია, ცხადია, კარაპეტიანმა მიიღო. მომავალი წლის შეჯიბრებებში მონაწილეობის უფლება მასთან ერთად მოიპოვეს მირიან ლოლიძემ (მე-14 ადგილი), გოჩა გელაშვილმა (მე-16) და გიორგი გელაშვილმა (მე-19).



**ჯონკოვი.** პოლონეთის ამ ქალაქში გამართულ თანამედროვე ხუთჭიდის საერთაშორისო ტურნირში ვაჟთა შორის პირველი და მეორე ადგილები საბჭოთა სპორტსმენებმა არუნას ზარანკასმა (5457 ქულა) და სერგეი სტარდიმოვმა (5329 ქულა) დაიკავეს. მესამე ადგილი გახლავთ პოლონელი ვ. სულიმა (პოლონეთი) იყო — 5337. მეორე საპრიზო ადგილი ულრიკ მალიკოვმ (სსრ კავშირი) დაიკავა — 5078.

**სოფია.** ბულგარეთის ჩემპიონი მძლეოსანი ტანკერქაბიმა ლიკოგირ ლანდი გაბდა — 49,388. ჩემპიონატის უცხოელი ძლიერი ნენსაცია იყო მსოფლიო ტანვარჯიშის ილინოიფული ლიდიკის მიერ მსოფლიო ჩემპიონის ინიკა 2,39 მეტრით. მსოფლიო მოხელი მერვე ადგილი ხელი — 48,687 ქულა.

**პეკინი.** კალათბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირის ერთ-ერთ წინასწარ ჯგუფში სსრ კავშირის მეორე ნაკრები და ბრაზილიის გუნდი იღებდნენ. ორთავე კლუბტების სამ-სამი გამარჯვება აქვს. ბოლო ტურში ჩვენი კალათბურთელების ჩინეთის მეორე კლუბებით დაამარცხეს — 102:68, ბრაზილიელებმა კი ფილიპინების ნაკრებს აჯობეს — 124:85. მეორე ჯგუფში დაწინაურდნენ ჩინეთის პირველი ნაკრები და ესპანეთის წარმომადგენლები.

**მიუნხენი.** კალათბურთელ ვაჟთა ევროპის ქვეყნების თასის მოპავლე გათამაშების სტერეოდებაში გუნდი მიაღწია 6 ადგილი მიუნხენის ოლიმპიური სპორტის სასახლეში.

**ლონდონი.** აქ დამთავრდა ევროპის ჩემპიონატი წყალბურთის ალემური სპორტში. გუნდური გამარჯვება მოიპოვეს ინგლისელებმა. ვერცხლის მედლები საფრანგეთის წარმომადგენლებმა დაისაკუთრეს, ბრინჯაოსი კი საბჭოთა სპორტსმენებმა.

**მოსკოვი.** სსრ კავშირისა და კანადის მოყვარულთა მეორე ნაკრები გუნდების ამხანაგურ შეხვედრაში გამარჯვება სტუმრებმა მოიპოვეს — 77:74.





### ინფორმაცია

**მონრეალი.** კანადის ამ ქალაქში გამართული საერთაშორისო მარათონი მოიგო ამერიკელმა რიკ სერმანმ — 2:18.07. ქალთა შორის პირველი იყო კანადელი სინდი ნიუ. მარათონში 8000 მონაწილე გამოვიდა.

## „სპორტლოტო“

**გუშინწინ** მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს“ მორიგი, 36-ე ტირაჟის გათამაშება.

„**სპორტლოტო 6 45**“-დან: 7 (კლასიკური ჭიდაობა), 12 (ტანვარჯიში), 14 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 32 (ფიგურული ციგურაობა), 33 (ფეხბურთი), 37 (ალპინიზმი).

„**სპორტლოტო 5 36**“-დან: 10 (წყალბურთი), 11 (ფრენბურთი), 13 (სამოსანთლბურთი სპორტი), 27 (მშვილდოსნობა), 30 (ძალოსნობა).

## „სპორტპროგნოზი“

**36-ე ტირაჟის შედეგები**
**(28-29 აგვისტო)**

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტპროგნოზის“ 35-ე ტირაჟის შედეგები, რომელიც 1988 წლის 28-29 აგვისტოს გამართა.

ტირაჟში დაშვებულია 2.826.551 ბარათი. 13 შედეგი არავის გამოუცნია, 12 შედეგი გამოიცნობისთვის (9) მოგებამ შეადგინა 9.421 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (183) — 1.853 მანეთი.

35-ე ტირაჟის შედეგები გაიცემა 1988 წლის 19 სექტემბრიდან 19 ოქტომბრის ჩათვლით.

• • •

**36-ე ტირაჟის შედეგები**
**(3-4 სექტემბერი)**

1—1, 2—1, 3—1, 4—1, 5—1, 6—1, 7—1, 8—2, 9—1, 10—1, 11—2, 12—2, 13—2.

**შენიშვნა:** პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

**რედაქტორი**
**თ. გაჩეჩილაძე**

**აცხადებს**
**რაგბი თუ გეიხარია**

თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს რაგბის და ბეისბოლის ხუთმეტის სკოლა აცხადებს მოსწავლეთა მიღებას ზამთრის ჯგუფში ყოველდღე. რაგბის ჯგუფებში სამიღებოდ მიიღებიან 1976-80 წლებში, ბეისბოლის ჯგუფებში — 1977-79 წლებში დაბადებული ბიჭები.

მისაღები გამოცდები რაგბიში ჩატარდება 17-20 სექტემბერს 18 საათზე სტადიონ „ბაზაზე“ მეორე მიდიერის, ბეისბოლში — 17-20 სექტემბერს 18 საათზე საბავშვო-ოლიმპიური სტადიონზე. მოსწავლეებს თან უნდა ჰქონდეთ ჯანმრთელობის ცნობა.

ჩვენი მისამართი: თბილისი, დიღმის მასივი, ბელიაშვილის ქუჩა № 6. ტელ. 51-83-95.

**სკოლის დირექცია**

**ჩვენი მისამართი:** წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

**რედაქციის ტელეფონები:** წერილების განყოფილება — 93-97-55, ხაზეცნი — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58, „მერანი“ — 93-97-26, „მარიფ“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კომბინატში: ხოშარაული, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 05537